საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 3 (1173) ‖ სამშაბათი, 7 იანვარი, 1958 წ. ‖ გამოცემის მე-14 წელი. ‖ ფასი 30 კაპ.



ამას წინათ მოსკოვში დამთავრებულ აკრობატთა პირად-გუნდურ პირველობაზე შერეულ წყვილში ჩემპიონობა მოიპოვეს გორკელებმა ვ. პლუჟნიკოვმა და ი. პრესნიაკოვამ.

* * *

სურათზე: ვ. პლუჟნიკოვი და ი. პრესნიაკოვა.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკისა.

## საბჭოთა ველოსიპედისტები გაფრინდნენ ეგვიპტეში

ეგვიპტის მეხუთე ტრადიციულ ველოტურში მონაწილეობის მისაღებად ქაიროში გაფრინდა საბჭოთა სპორტსმენთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან ი. მელეხოვი, ა. ოლიზარენკო, ა. პეტროვი, ა. ჩერეპოვიჩი და გ. საიდხუჟინი. დელეგაციის ხელმძღვანელია საბჭოთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ე. არხიპოვი.

შეჯიბრება დაიწყება 12 იანვარს ეგვიპტის ცენტრში. პირველი ეტაპი ლუქსორიდან სოხაგამდე უდრის 214 კილომეტრს და ერთ-ერთი უდიდესთაგანია ამ შეჯიბრებაზე. ყველაზე დიდია უკანასკნელი ეტაპი ალექსანდრიიდან ქაირომდე, რომლის სიგრძე 230 კმ-ს შეადგენს. ტრასის საერთო სიგრძეა 2.027 კმ, რაც 600 კილომეტრით აღემატება წინა წლებში ჩატარებულ შეჯიბრებათა დისტანციებს.

ეგვიპტის ველოტურში საბჭოთა სპორტსმენების გარდა მონაწილეობენ მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლები, მათ შორის ბულგარეთის სპორტსმენებიც, რომლებიც ამ შეჯიბრების სამგზის გამარჯვებულები არიან.

## „განთიადმა" მუშაობა დაიწყო

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ მიმდინარე წლის სპორტული კალენდარი, რომელიც მთელი ჩვენი მუშაობის საფუძველია და რომლის განხორციელება ჩვენ შეგვმატებს ახალ სახელოვან სპორტსმენებს, ერთი-ორად გაზრდის ნიშნოსანთა, თანრიგოსანთა რიგებს, ჩამოაყალიბებს ახალ კოლექტივებს, ხოლო არსებულს კიდევ უფრო განამტკიცებს, გააძლიერებს...

მრავალი, მეტად მრავალი ღონისძიება მოეწყობა მიმდინარე წელს. საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში შეჯამდება, გამოვლინდება ჩვენი მუშაობის შედეგები სპორტის ამა თუ იმ სახეობაში და, რაც მთავარია, მიმდინარე წელს, როგორც არასდროს, გამოცოცხლდება მუშაობა ძირეულ კოლექტივებში.

არ შეიძლება ცალკე არ აღვნიშნოთ 1958 წლის პირმშო — ახალი სპორტული საზოგადოება „განთიადი". იგი ჯერ თავისი არსებობის მხოლოდ რამდენიმე დღეს ითვლის, მაგრამ მეტად ნათელი პერსპექტივები აქვს როგორც ვიუწყებოდით, საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების (სპორტულ საზოგადოებათა რეორგანიზაციის შესახებ) შესაბამისად საქართველოს პროფსაბჭომაც მიიღო სათანადო გადაწყვეტილება და ჩამოაყალიბა ორი ორგანიზაცია: „ბურევესტნიკში" გაერთიანდნენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივები, ხოლო „განთიადში" „პიშჩევიკის", „კრასნოე ზნამიას", „კრასნაია ზვეზდას", „სტროიტელის", „ნეფტიანიკის", „შახტიორისა" და „ენერგიის" კოლექტივები. ამ გამსხვილებულ, გაძლიერებულ ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციას — „განთიადს" უკვე აქვს თავისი სამოქმედო პროგრამა, რომელიც შემდეგს ითვალისწინებს:

მუშა-მოსამსახურეთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ორგანიზებას, ხელმძღვანელი კადრების, მწვრთნელების, საზოგადოებრივი მუშაკების მომზადება-გადამზადებას, მტკიცე სპორტული კალენდარის შედგენას და მის მიხედვით ადგილობრივი, რაიონული, რესპუბლიკური ღონისძიებების განუხრელად, მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარებას, საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვას, ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდას და სპორტული ბაზების მშენებლობას.

დადგა 1958 წელი და „განთიადი" შეუდგა მუშაობას. მას შტატიანი საქალაქო საბჭოები აქვს რუსთავში, ქუთაისში, საოლქო საბჭოები აჭარაში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ხოლო რაიონული საბჭოები საზოგადოებრივ საწყისებზე ყველგან, სადაც კი მისი ჩამოყალიბების ყველა პირობა არსებობდა. მთლიანად დაკომპლექტდა „განთიადის" რესპუბლიკური საბჭო და... უკვე გაიშალა სპორტული მუშაობა. მიმდინარეობს კოლექტივებში ფრენბურთელთა შეჯიბრება...

მართალია, „განთიადმა" მუშაობა დაიწყო, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მას ყველაფერი რიგზე ჰქონდეს და ჩვენს დახმარებას არ საჭიროებდეს. რასაკვირველია, არა. როგორ შეიძლება ბედის ანაბრად დავტოვოთ საზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოყალიბებული „განთიადის" რაისაბჭოები. რაიონულმა კომიტეტმა პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან კავშირში პირველ რიგში დახმარება უნდა აღმოუჩინოს ამ ახალ ორგანიზაციას, რათა იგი გამაგრდეს, გაძლიერდეს და, რაც მთავარია, ავტორიტეტი მოიპოვოს მასებში.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიმდინარე წელს ახლებურად მოეწყობა ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობა. ტურებად და წრიული სისტემით ჩატარდება შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. რაც ერთი-ორად აამაღლებს მუშა-მოსამსახურეთა ფიზიკურ მომზადებას, სპორტულ ოსტატობას. რასაკვირველია, ახალ საქმეს წინ მრავალი დაბრკოლება ელობება. ასე იქნება ამჯერადაც, მაგრამ ჩვენ მოწოდებულნი ვართ, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა მივაღწიოთ სრულწლიურ მუშაობას. რათა ყოველი მუშა-მოსამსახურე სპორტული სექციის აქტიური, ბრძოლისუნარიანი წევრი იყოს. ეს არის „განთიადის" უპირველესი მოვალეობა.

ჩვენ გვინდა ვუსაყვედუროთ ზოგიერთი საწარმოსა და დაწესებულების ადგილკომებს. ისინი თავიანთ ძირითად მოვალეობად არ თვლიან ფიზკულტურული ღონისძიებებისადმი დახმარებას. სიმღერის, ცეკვის, თეატრალური წრეების შექმნა, კინო-თეატრებში კოლექტიური სვლა მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ ფიზკულტურა, ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვა რატომ უნდა დაავიწყდეს ამ მეტად ავტორიტეტიან საზოგადოებრივ ორგანიზაციას?

მიმდინარე წლიდან ძირეული კოლექტივების დაფინანსება მოხდება ადგილკომების საშუალებით, საერთო კრებებზე. ე. ი. მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე გადაწყდება თუ როგორ განაწილდეს სახსრები, რამდენი დაიხარჯოს ფიზკულტურაზე ან კულტურულ მომსახურებაზე. ამიტომ ყოველი წვრილმანის გათვალისწინებით ზუსტი გეგმა უნდა წარუდგინოთ საერთო კრებას. ამას გარდა სისხლსავსე, მჩქეფარე მუშაობით ავტორიტეტი უნდა ავუმაღლოთ ფიზკულტურულ კოლექტივს.

ჩვენ აქ დაფინანსებაზე როცა ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ, რომ ის თანხა, რომელსაც საერთო კრება გამოყოფს, უნდა მოხმარდეს ბაზების კეთილმოწყობას, აუცილებელი ინვენტარის შეძენას. რაც შეეხება შეჯიბრებების ორგანიზაციას, ეს საკუთარი ძალებით, თვითმოქმედების გაშლის საფუძველზე უნდა მოვაწყოთ. წარმოებაში მომუშავე ფიზკულტურისა და სპორტის ენთუზიასტებმა თავიანთი სიტყვა უნდა თქვან დირექციასთან შრომის ხელშეკრულების დადებისას. საჭიროა ხელშეკრულებაში შევიტანოთ პუნქტები ბაზების აგებასა და კეთილმოწყობაზე.

„განთიადმა" მუშაობა დაიწყო. სულ მალე განთიადელები გამოჩნდებიან რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. გამოჩნდებიან და თავიანთ წვლილსაც შეიტანენ საბჭოთა სპორტის აღმავლობაში. ვუსურვოთ მას წარმატება!

## რევანში არ შედგა

3 იანვარს სან-პაულოში მოეწყო უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრება 5 კილომეტრზე რბენაში. ოლიმპიურ ჩემპიონ ვლადიმერ კუცთან ერთად სტარტზე გამოვიდნენ პორტუგალელი ფარია, არგენტინელი სუარესი და სხვ. კუცმა ვერ შეძლო რევანშის აღება წინა შეჯიბრებაზე დამარცხებისათვის და ფინიშთან მესამე მივიდა შედეგით 14 წუთი 45 წამი. გაიმარჯვა სამხრეთ-ამერიკელმა სუარესმა — 14.23,3. მეორე იყო ფარია.

## ჩემპიონებს გადაეცათ მედლები

სამხრეთ ამერიკაში ტურნეს დამთავრების შემდეგ პირველ იანვარს სამშობლოში დაბრუნდა მოსკოვის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი. ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ კ. ანდრიანოვმა გუნდის კაპიტანს — რიჟკინს გადასცა საკავშირო კომიტეტის გარდამავალი პრიზი — წითელი დროშა, ხოლო სპორტსმენებს ოქროს მედლები, პირველი ხარისხის დიპლომები და ჩემპიონის ალისფერი მაისურები.

## ე. ბრენდეჯის აზრით

**ლონდონი. (საკდესი).** რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება ლოზანიდან, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა (აშშ) ამას წინათ დაუგზავნა წერილი ყველა საერთაშორისო სპორტულ ფედერაციასა და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს, რომლებშიც იგი მოითხოვს უფრო მკაცრად და გულდასმით იქნას გატარებული ცხოვრებაში სამოყვარულო ოლიმპიური წესები.

ბრენდეჯმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სოფიაში შემდგარი თათბირის შემდეგ გავრცელდა არასწორი ინფორმაცია და ამასთან დაკავშირებით „საჭიროა მკაფიოდ და ნათლად იქნას გამოქვეყნებული იმ გადაწყვეტილებათა შესახებ, რომლებიც სოფიაში იქნა მიღებული".

თავის წერილში ბრენდეჯს ჩამოთვლილი აქვს სოფიაში მიღებული 6 პუნქტი, რომელთა ძალითაც ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება აკრძალული აქვს იმ სპორტსმენებს, რომლებიც:

1. მონაწილეობენ შეჯიბრებებში ფულის გულისთვის, ისეთი პრიზების მიღებისათვის, რომელთა გადაქცევა იოლად შეიძლება ფულად; ან პრიზებისათვის, რომელთა ღირებულება აღემატება 40 დოლარს; ან გამოდიან თავიანთ ეროვნულ ფედერაციათა ნებართვის გარეშე, რომლებიც ემორჩილებიან საერთაშორისო ფედერაციის წესებს და ახორციელებენ კონტროლს სპორტის მოცემულ სახეობაზე.

2. ღებულობენ ფულად ანაზღაურებას წვრთნის ჩატარებისა და სხვა სპორტსმენთა მომზადებისათვის.

3. თამაშებში მონაწილეობა ეკრძალება, აგრეთვე, სპორტსმენებს, რომლებიც კაპიტალს იძენენ თავიანთი სპორტული სახელით: კომერციული სარგებლის გზით ან სპეციალურ პრივილეგიათა საშუალებით, რომელთა გულისთვისაც სპორტსმენი მონაწილეობას ღებულობს შეჯიბრებებში.

4. იმ სპორტსმენებს, რომლებიც ღებულობენ დანახარჯის ანაზღაურებას, რაც აღემატება ნამდვილად გაწეულ ხარჯს.

5. მათ, ვინც გადაწყვიტა გახდეს პროფესიონალი სპორტსმენი და ვინც თამაშებში მონაწილეობს თავისი „კომერციული ღირებულების" ამაღლების მიზნით.

6. მათ, ვინც თავს არიდებს საკუთარ ქვეყანაში ან უცხოეთში თავის პროფესიას ან საქმიანობას სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის.

ე. ბრენდეჯმა აგრეთვე განაცხადა, რომ „ყველა საერთაშორისო ფედერაციას მიეთითება, რათა მათ შეატყობინონ თავიანთი ეროვნული ფედერაციების წევრებს იმის შესახებ, რომ ოლიმპიურ თამაშებზე უნდა დაცულ იქნას არა მარტო ფედერაციების წესები, არამედ ოლიმპიური წესებიც".

შეეხო რა საკითხს იმ დაკარგული დროის ფულადი ანაზღაურების შესახებ, როცა სპორტსმენები კი არ მუშაობენ, არამედ წვრთნით არიან დაკავებული, ე. ბრენდეჯმა აღნიშნა, რომ „ისინი, ვინც ღებულობენ ოფიციალურ ანაზღაურებას დაკარგული სამუშაო დროისათვის როგორც წარსულში, ისე ამჟამად ვერ მიიღებენ მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიგრძეზე ხტომის ისტორიისათვის


1


2


3


4

სიგრძეზე ხტომა მძლეოსნობის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. ჯერ კიდევ 2500 წლის წინ იგი შედიოდა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში და ჩვენამდე შემორჩენილია ცნობა, თითქოს კროტონელი ფაილი გადამხტარა დაახლოებით 9 მეტრ სიგრძეზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ იმ დროს ხტომა წარმოებდა მძიმე განტელებით ხელში, რომლებსაც სპორტსმენი ხტომის მომენტში ძირს ჰყრიდა ნახტომის გასადიდებლად. პირველ სურათზე, რომელზეც გამოსახულია ჩვენს ერამდე 7-6 საუკუნის ჭურჭელი, ჩანს მხტომელი განტელებით ხელში.

პირველი მსოფლიო რეკორდი რეგისტრირებულ იქნა 91 წლის წინათ. იგი ეკუთვნოდა ინგლისელ დ. ფიტცჯერბერტს და უდრიდა 5 მეტრსა და 95 სანტიმეტრს სიგრძეზე ხტომის ისტორიაში დიდ მოვლენას წარმოადგენდა ირლანდიელი დ. ლეინის მიერ 1874 წელს დამყარებული რეკორდი — 7,045 მეტრი.

1900 წელს სიგრძეზე ხტომის რეკორდმა ამერიკელთა ხელთ გადაინაცვლა — მ. პრინსტეინმა აჩვენა იმ დროისათვის შესანიშნავი შედეგი 7 მ. 50 სმ. მალე ირლანდიელებმა კვლავ შეძლეს რეკორდის დაბრუნება პ. ოკონორის მეოხებით, რომელმაც აჩვენა 7,615 მ.

1921 წელს ზანგმა მძლეოსანმა ე. გურდენმა (სურ. 2) რეკორდი აიყვანა 7,695 მეტრამდე, ხოლო 1924 წლის ოლიმპიურ თამაშებზე რ. ლე-ჟანდრმა (აშშ) სიგრძეზე ხტომაში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 7,765 მეტრი (სურ. 3).

მომდევნო ოლიმპიურ თამაშებზე ზანგი დე ჰარტ ჰუბარტი (აშშ) გადახტა 7,895 მეტრზე (სურათი 4).

შემდეგი ზანგი მხტომელი, რომელმაც ახალი რეკორდი დაამყარა, იყო კუნძულ ჰაიტის მცხოვრები ს. კატორი (სურ. 5), რომლის შედეგი უდრიდა 7 მეტრსა და 93 სანტიმეტრს. 8-მეტრიან ზღვარს კი ყველაზე უფრო მიუახლოვდა იაპონელი ჩ. ნამბუ, რომელსაც 1931 წელს 2 სანტიმეტრი დააკლდა ამ მიჯნამდე.

1935 წელს სპორტულ სარბიელზე გამოჩნდა ამერიკელი ზანგი ჯ. ოუენსი, რომელმაც პირველად გადალახა 8-მეტრიანი ზღუდე (სურ. 6) და აი უკვე 22 წელია, რაც მსოფლიო რეკორდების ცხრილში ხელუხლებლად ზის მისი შედეგი — 8 მეტრი 13 სანტიმეტრი.

მხოლოდ 1947 წელს იქნა შესრულებული 8 მეტრზე შორი ნახტომი, ხოლო 1948 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში ზანგმა ვ. სტილმა აჩვენა 8 მ 07 სმ.

1956 წელს ამერიკელთა შესარჩევ ოლიმპიურ შეჯიბრებაზე ინდიელი წარმოშობის მძლეოსანმა გ. ბელმა აჩვენა 8 მ 09 სმ. (სურ. 7).

გ. ბელს ყველა ბუნებრივი მონაცემი და უაღრესად დახვეწილი ტექნიკა გააჩნია და დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთადერთია, რომელსაც შეუძლია იბრძოლოს სიგრძეზე ხტომაში ახალი მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად.

**ა. ტარასევიჩი**


5


6


7

## ჩვენ გვწერენ

### საწარმოო ტანვარჯიშს არ ნერგავენ

თბილისის ხორცკომბინატის ძირეულმა კოლექტივმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა მასობრივ-ფიზკულტურულ აქმიანობაში. სხვადასხვა სექციებში გაერთიანებულია 400-მდე ფიზკულტურელი. ბევრჯერ მოეწყო შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები გადაჭარბებით შესრულდა მშთ I და II საფეხურის ნიშნოსანთა მომზადების გეგმა. ძირეულ კოლექტივს წარმატების მოპოვებაში ხელი შეუწყო საზოგადოებრივი კადრების ნაყოფიერმა მუშაობამ. მაგალითად, საძეხვე საამქროს ოსტატი ო. გოგობერიშვილი მძლეოსნებს ამეცადინებს, ელექტრომონტიორი დ. ბელონოშკინი ჭრილის სექციის ხელმძღვანელია, სპორტთამაშებს — ხარატი ტ. მაგომედოვი და სხვ.

მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა, ხორცკომბინატში არავითარი ყურადღება არ ექცევა საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვას მაშინ, როცა დედაქალაქის თითქმის ყველა წარმოება- დაწესებულებაში დიდი ხანია მისდევენ ორგანიზმის გაკაჟების ამ მნიშვნელოვან საშუალებას. რითი უნდა აიხსნას თუ არა საწარმოო ტანვარჯიშის მნიშვნელობის შეუფასებლობით ის გარემოება, რომ ი. ღუდუშაური, რომელიც კომბინატში მიღებულია ინსტრუქტორმეთოდისტად, დღემდე არ შედგომია დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

საჭიროა, კომბინატის დირექციამ, პროფკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ.

**ს. რასტი,**
**საქართველოს პროფსაბჭოს ორგმასობრივი მუშაობის განყოფილების ინსტრუქტორი**

### რატომ ჩამორჩებიან

რაჭაში ძველთაგანვე ცნობილია თვითნაკეთი თხილამურები, რომელთაც აქ „ჭორულას“, „საბიჯებელს“, „საცურიალოს“ უწოდებენ. ეს ფაქტები ნათლად მეტყველებენ ადგილობრივი ახალგაზრდების დაინტერესებაზე ზამთრის სპორტის სახეობებით და განსაკუთრებით სათხილამურო სპორტით, მაგრამ იმის გამო, რომ ონისა და ამბროლაურის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტები, „კოლმეურნის“ რაისაბჭოები, ფიზკულტურის მასწავლებლები ყურადღებას არ აქცევენ ამ მიმზიდველ სახეობას, სექციები მხოლოდ ფორმალურად არსებობენ.

სამიოდე წლის წინათ ამ რაიონების მოთხილამურეებმა კერძო მფლობელთაგან დაიქირავეს სპორტული ინვენტარი და შეძლეს მონაწილეობა მიეღოთ „კოლმეურნის“ რესპუბლიკურ პირველობაზე. ეს იყო და ეს, მას შემდეგ სათხილამურო სპორტში არაფერი გაკეთებულა. სავაჭრო ორგანიზაციები რატომღაც თავს არიდებენ ინვენტარის შემოტანას, მაშინ, როცა მოთხოვნილება საკმაოდ დიდია.

რაჭაში არავითარი ყურადღება არ ექცევა აგრეთვე სათხილამურო ბაზების მოწყობის საქმეს. ონში და შაორში კი შეიძლებოდა შესანიშნავი ბაზების აშენება, როგორც სლალომში, ისე ტრამპლინიდან ხტომაში სავარჯიშოდ.

**ა. ვაჩაძე**

### მუშაობა ჩაშლილია

ერთ დროს საკმაოდ ძლიერ კოლექტივად ითვლებოდა ზესტაფონის რკინიგზის კვანძის ფიზკულტურული ორგანიზაცია, ჰქონდათ კეთილმოწყობილი ბაზები, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა. 200-ზე მეტი ახალგაზრდა, რომლებიც კვანძის საწარმოებში მუშაობენ, მოკლებულია მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობას, რადგან სექციები ფორმალურად არსებობენ. ყურადღება არ ექცევა ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადებას.

შექმნილი მდგომარეობა კარგადაა ცნობილი „ლოკომოტივის“ სამტრედიის განყოფილების ხელმძღვანელებისათვის, მაგრამ მისი გამოსწორებისათვის არავინ ზრუნავს.

**ს. ტალახაძე**

### ახალი სტადიონი

ზუგდიდის რაიონის რუხის კოლმეურნეობამ მიმდინარე წელს დაიწყო ახალი სტადიონის მშენებლობა, რისთვისაც გამოყოფილ იქნა 12 ჰექტარი მიწის ფართობი. ეს იქნება ერთ-ერთი უდიდესი საკოლმეურნეო სტადიონი მთელს რესპუბლიკაში.

მას ექნება 400-მეტრიანი მძლეოსნობის სექტორი სარბენი ბილიკებით, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები, ტანვარჯიშული ბაქანი, საჭიდაო არენა და სხვ.

**გ. ალშიბაია**

### არა გვაქვს ინვენტარი

გასული წლის ოქტომბერში ზესტაფონში შეიქმნა კალათბურთელ ქალთა ნაკრები გუნდი, გაჩაღდა წვრთნა — მზადება რესპუბლიკურ მასშტაბის ღონისძიებებში მონაწილეობისათვის, მაგრამ მალე ვიგრძენით სერიოზული ნაკლოვანებები. არა გვაქვს ზამთრისათვის სავარჯიშო ბაზები, ბურთები, წვრთნა შემთხვევიდან შემთხვევამდე ტარდება. ფიზკულტურის რაიონული კომიტეტი კი, რომელმაც თავი ვალმოხდილად ჩათვალა გუნდის შექმნით, გულხელდაკრეფილი შესცქერის ჩვენს უმოქმედობას.

**ლ. მედულაშვილი,**
**გუნდის კაპიტანი.**

### სად ვიშოვოთ ლიტერატურა?

გასულ წელს გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე დაიბეჭდა წერილების სერია მშვილდოსნობის შესახებ, რომლებშიც გამოთქმულია სურვილი რესპუბლიკაში სპორტის ამ საინტერესო სახეობის დანერგვისა და განვითარების შესახებ. ჩვენი სკოლის მოსწავლეებში წერილმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მით უფრო, რომ თუშებს, ამ სოფლის მცხოვრებლებს, მშვილდოსნობის დიდი ტრადიცია აქვთ.

კარგახანია შევქმენით მშვილდოსანთა წრე, მაგრამ წვრთნის პროცესში წავაწყდით სერიოზულ წინააღმდეგობებს. რჩევა-დარიგებისათვის მივმართეთ საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგეს ვ. ელაშვილს, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიგვიღია. განვიცდით სათანადო ლიტერატურის ნაკლებობას მშვილდოსანთა სექციის ჩამოყალიბების, წვრთნის მეთოდების, შეჯიბრებათა ჩატარების წესების შესახებ.

საჭიროა სათანადო ორგანიზაციებმა დროულად მოამარაგონ ძირეული კოლექტივები საჭირო ინვენტარითა და ლიტერატურით, რაც ხელს შეუწყობს მშვილდოსნობის განვითარებას რესპუბლიკაში.

**ნ. ჯიჯურიძე,**
**ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.**

## ვეხმაურებით წერილს „მცირეწლოვანი ბავშვების ჭადრაკით დატვირთვის შესახებ“

# პერსპექტიული წამოწყება

სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან ჭადრაკის სწავლება, რომელსაც ეწევა თბილისის განათლების განყოფილების ჭადრაკის სპეციალური სკოლა პედაგოგ შ. ინწკირველის ხელმძღვანელობით, ჩემის აზრით პერსპექტიული წამოწყებაა. იგი მოწოდებულია დადებითი როლი მოახდინოს ჩვენი რესპუბლიკის საჭადრაკო ცხოვრებაში.

ამ სკოლაში საჭადრაკო ხელოვნებას ეზიარება მცირეწლოვანი, ნიჭიერი ბავშვების ერთი ჯგუფი, რომელთა წრიდან შემდგომ შეიძლება ოსტატებიც გამოვიდნენ. მთავარია, ადრეულ ასაკში გამოვამჟღავნოთ მათი საჭადრაკო ნიჭი, რათა მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ შემდგომ პროგრესს. საჭადრაკო ლიტერატურაში არსებობს არაერთი იმის მაგალითი, რომ „საჭადრაკო აბჯრის“ ჩაყრა ადრეულ ასაკში წარმოადგენს ნიჭის ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების საწინდარს.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე თუ რა სასარგებლოა ნიჭიერ ბავშვთა გამოვლინება და აღზრდა. მათთან გულდასმითი მუშაობით მტკიცე საფუძველი ჩაეყრება ჭადრაკის მომავალს საქართველოში.

მაგრამ ვეხებით რა სკოლამდელი ასაკის ბავშვების (5–6 წელი) სწავლების საკითხს, რასაკვირველია, უნდა შევჩერდეთ კითხვაზე: „ნაადრევი ხომ არაა?“. ჩემის აზრით, არ არის ნაადრევი თუ პედაგოგი საქმეს დაკვირვებულად და საგულდაგულოდ მოეკიდება.

ამ მხრივ მე მგონია შ. ინწკირველი კარგად უძღვება ამ ახალ საქმეს. მე რამდენიმეჯერ დავესწარი სკოლამდელ ბავშვთა მეცადინეობას და კარგი შთაბეჭდილებით დავრჩი. დადებითია ის, რომ მეცადინეობისას ბავშვებს ჭადრაკის წესებსა და კანონებს კი არ ასწავლიან მექანიკურად, კი არ ღლიან მეცადინეობით, პირიქით ხელს უწყობენ ბავშური ფანტაზიის გამოვლინებას, რითაც თამაში მათთვის სიამოვნებადაა გადაქცეული.

მთავარი ისაა, რომ პედაგოგი ცდილობს ბავშვს შეუსისხლხორცოს იმის გაგება, რომ ჭადრაკი არა მხოლოდ ფიგურების მექანიკური გადაჯგუფებაა, ან მათი მოკვლა, არამედ რომ იგი ჩანაფიქრთა ბრძოლაა. რასაკვირველია, მწვრთნელი თავის მუშაობაში სამართლიანად არ ხმარობს სიტყვებს „იდეას“, „შემოქმედებას“. მაგრამ ის, რომ ჭადრაკი საინტერესო და მიმზიდველი სფეროა, სადაც ასპარეზი აქვს ფანტაზიას, ამის გაგებას ბავშვი იწყებს მთელი არსებით. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან რამდენიმე წლის შემდეგ, ჭაბუკობაში, საბოლოოდ მოიყვანს წესრიგში თავის ბავშურ შთაბეჭდილებებს და გაიგებს თუ რას წარმოადგენს ის კეთილშობილური ხელოვნება, რასაც ჭადრაკი ეწოდება. ამ ასაკისათვის მას უკვე დაგროვილი ექნება აუცილებელი ცოდნის მარაგი, რომელიც მას გზას გაუხსნის ოსტატობისაკენ.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან ჭადრაკის სწავლებას აღმზრდელობითი ხასიათიც აქვს. იგი ბავშვს დისციპლინას აჩვევს.

ზემოთქმულიდან მე მგონია თბილისის ჭადრაკის სპორტსკოლის მწვრთნელის პერსპექტიული წამოწყება ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს.

**ა. ბუსლაევი,**
სპორტის ოსტატი.

# საკითხი დროულადაა დასმული

ჩვენს დროში, როცა ჭადრაკი დიდადაა პოპულარული ხალხის ფართო მასებში, დროულია მცირე ასაკის ბავშვებთან ჭადრაკის სწავლების საკითხის დაყენება.

ამბობენ, რომ ნაადრევია 5–6 წლის ბავშვებისათვის ჭადრაკის სწავლება. ამის არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ თითქოს მოზრდილებსაც უჭირთ ჭადრაკის დაუფლება. ასეთი შეხედულების საწინააღმდეგოდ ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთ- მაგალითი. როგორც ცნობილია, წესადაა დამკვიდრებული 5–6 წლის ბავშვებთან მუსიკის სწავლების დაწყება. ეს გარემოება ხომ ყველას ბუნებრივად მიაჩნია, თუმცა ზოგჯერ მუსიკას ისეთ ბავშვებს ასწავლიან, რომლებიც მუსიკისადმი არავითარ მისწრაფებას არ ამჟღავნებენ. ისმის კითხვა, რატომ არ უნდა შეეძლოთ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ჭადრაკის უმარტივესი წესების შესწავლა? ბავშვებს შეუძლიათ ისწავლონ ჭადრაკი. მათი სწავლება ძალდატანებით კი არ უნდა იყოს, არამედ გართობის ხასიათს ატარებდეს. რასაკვირველია, ბევრია დამოკიდებული თვით პედაგოგზე. საქმისადმი სერიოზული მიდგომით მას შეუძლია ბავშვს გაუადვილოს ჭადრაკის დაუფლება.

გვაკვირვებენ, რომ ჭადრაკს შეუძლია „გადაღალოს“ სკოლამდელი ასაკის ბავშვი, ააცდინოს იგი თავისი გონებრივი და ფიზიკური განვითარების ნორმალურ გზას. ამასთან დაკავშირებით გვინდა შევახსენოთ მათ, რომ გამოჩენილი ოსტატები (კაპაბლანკა, ალიოხინი, რეშევსკი, რომანოვსკი, ალატორცევი, ბელოვენეცი და სხვანი) ჭადრაკს ეზიარენ თავისი ცხოვრების გარიჟრაჟზე და არც ერთი მათგანი არ გამხდარა „გადაღლის“ მსხვერპლი. 1923 წელს სმოლენსკში მე აწ განსვენებულ ოსტატ ვიგოდჩიკოვთან ერთად ხშირად ვწვევივარ ბელოვენეცის ოჯახს, სადაც ჩვენ გვაკვირვებდა პატარა ბიჭუნას უნარიანი თამაში. ამ ბიჭუნას მამა აღნიშნავდა, რომ ბავშვმა სრულიად პატარამ ისწავლა ჭადრაკის თამაში და მას გადაღლის არაფერი ემჩნევაო. მართლაც, ათიოდე წლის შემდეგ ნიჭიერი ბავშვი სახელმოხვეჭილი ოსტატი გახდა.

ამას წინათ მე მქონდა მიმოწერა ისტორიკოსსა და მეთოდისტთან პ. რომანოვსკისთან მცირეწლოვან ბავშვებთან ჭადრაკის სწავლების შესახებ. ჭადრაკის გამოცდილმა მწვრთნელმა გამიზიარა თავისი შეხედულება ამ საკითხზე. იგი დიდი მომხრეა ისეთი მუშაობის დაწყებისა. ამ აზრისაა, — მწერს პ. რომანოვსკი, — ჭადრაკის მრავალი სხვა პედაგოგი მოსკოვშიც.

ჩემის აზრით პრინციპულად ნათელია შ. ინწკირველის წამოწყებული საქმის სარგებლობა. ახლა მთავარია, შევისწავლოთ ის, თუ როგორი სახით, რა ფარგლებში მივაწოდოთ ბავშვებს საჭადრაკო ცოდნა. ამ საქმეში აუცილებლად უნდა ჩაებან ჩვენი საჭადრაკო სკოლის ავტორიტეტული პედაგოგები და ოსტატები.

**მ. ვადბოლსკი**

## სპორტსკოლის დარბაზში

9 გუნდი მონაწილეობდა გურჯაანის რაიონის ფრენბურთელთა პირველობის გათამაშებაში, რომელიც სპორტსკოლის დარბაზში ჩატარდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ველისციხის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმისა და გურჯაანის საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდები. გაიმარჯვეს მომავალმა მექანიზატორებმა.

**თ. გოგიაშვილი, გ. სირბილაშვილი.**



ბაკურიანში. თხილამურო სპორტში პრაქტიკულ მეცადინეობას ატარებენ საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები.

• • •

სურათზე: მწვრთნელი ვ. ნასკოვი (მარჯვნივ) ორნაბიჯიანი შენაცვლებითი სვლის ტექნიკას ასწავლის პრაქტიკანტ სტუდენტთა ერთ ჯგუფს.

# სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად

### ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტში

ამას წინათ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ბრიგადამ შეამოწმა და კომიტეტის სხდომას წარუდგინა მასალები სამტრედიის რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ რაიონში არაათანადო დონეზეა დაყენებული როგორც მასობრივ-ფიზკულტურული, ისე სასწავლო-სპორტული აქმიანობა. კომიტეტის სხდომებზე, რომლებიც მოუმზადებლად ტარდება, იშვიათად იხილავენ ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის აქტუალურ საკითხებს. მიღებულ გადაწყვეტილებათა მნიშვნელოვანი ნაწილი დაყვანილი არაა ძირეულ კოლექტივებამდე. არ ხდება მათი შესრულების მიმდინარეობის შემოწმება.

რაიონულ კომიტეტთან დღემდე არაა შექმნილი საზოგადოებრივი სექციები სპორტის სახეობათა მიხედვით, მსაჯთა კოლეგიები, მწვრთნელთა საბჭოები, რის გამო ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები მოკლებულნი არიან მეთოდურ დახმარებასა და კონტროლს.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონში ნიშნოსნების მომზადების გეგმების შესრულება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, ამ საქმეში ადგილი აქვს ცალკეული ორგანიზაციების მნიშვნელოვან ჩამორჩენას. შემოწმებით გამოირკვა, რომ „კოლმეურნის“ რაისაბჭოს მიერ ნიშნოსნების მომზადების გეგმა შესრულებული აქვს 60 პროცენტით, ხოლო „ბურევესტნიკისა“ და „კრასნოე ზნამიას“ არც ერთი ნიშნოსანი არ მოუმზადებიათ.

სამტრედიაში არასათანადო ყურადღება ექცევა სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადებას სახეობათა მიხედვით. მაგალითად, განვლილ პერიოდში აქ არც ერთი თანრიგოსანი არ მომზადებულა თავისუფალ ჭიდაობაში, ტანვარჯიშში, ძალოსნობასა და ჩოგბურთში, ციფრობრივი მაჩვენებლები საგრძნობლად გაზრდილია მძლეოსნობაში, სროლასა და ხელბურთში, რაც კომიტეტის უგეგმო მუშაობაზე მეტყველებს. არასათანადო ყურადღება ეთმობა სპორტის მასობრიობას. კალენდარული გეგმით ჩატარებულ 12 ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 1.970 ფიზკულტურელმა მაშინ, როცა რაიონში მომუშავე სპორტულ სექციებში გაერთიანებულთა რიცხვი 6.000 აღემატება.

ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი არასათანადო ყურადღებას აქცევს სპორტის ისეთ სახეობათა განვითარებას, როგორიცაა კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, კრივი, ჩოგბურთი, ტანვარჯიში, ძალოსნობა, ცხენოსნობა.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მიმდინარე წლის ივლისში მოისმინა სამტრედიის რაიონის „კოლმეურნის“ რაისაბჭოს მუშაობის საკითხი და მიიღო სათანადო დადგენილება, რომელიც რაიონულ კომიტეტს ავალებდა დახმარება აღმოეჩინა რაისაბჭოს მუშაკებისათვის, მაგრამ რაიონულ კომიტეტს დღემდე არავითარი ღონისძიება არ გაუტარებია სოფლად ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

აღნიშნულ საკითხზე ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მიიღო სათანადო დადგენილება. ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. აბაშიძეს სუსტი მუშაობისათვის მიუთითა და დაავალა უმოკლეს დროში გარდაქმნას საქმიანობა.

# საქართველოს პირველობაზე არ მონაწილეობს თბილისის გუნდი (?!)

სპორტულ დარბაზში მოეწყო გოგონათა ექვსი და ჭაბუკთა ხუთი გუნდი. რაშია საქმე. ნუთუ ფრენბურთში საქართველოს მოსწავლეთა პირველობის საზეიმო გახსნაზე რომელიმე კოლექტივმა დააგვიანა. არა. მეექვსე მონაწილე — თბილისი არ გამოცხადდა შეჯიბრებაზე მაშინ, როცა ეს ღონისძიება აქ, ჩვენი დედაქალაქის სპორტულ ბაზაზე ეწყობა. შეიძლება თბილისის განათლების განყოფილებამ თავი იმით გაიმართლოს, რომ მათი გუნდი მონაწილეობს საკავშირო შეჯიბრებაში, მაგრამ ნუთუ დედაქალაქს არა ჰყავს უძლიერესთა შემცვლელი ჭაბუკები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ ამ ღონისძიებაში. ამის შემდეგ რა უნდა მოვთხოვოთ რესპუბლიკის რაიონების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, როცა დედაქალაქს არ „შეუძლია“ შეჯიბრებაში მონაწილეობა. ჩვენ მარტო საკავშირო მასშტაბის ასპარეზობისათვის როდი უნდა ვამზადებდეთ გუნდებს, არამედ უნდა ვზრუნავდეთ სპორტის ამ სახეობის თბილისის სკოლებში მასობრივად დანერგვისათვის და მაშინ ასე არ მოხდებოდა.

პირველი დღის შეხვედრებიდან აღსანიშნავია აფხაზეთისა და გორის ჭაბუკთა გუნდების თამაში, რომელიც თავიდანვე აფხაზეთის წარმომადგენლებმა თავის სასარგებლოდ წაიყვანეს — 2:0. მაგრამ გორელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ როდი დაყარეს ფარ-ხმალი, არამედ შეძლეს მომდევნო სამი პარტიის მოგება და ამასთან გამარჯვების მოპოვება — 3:2.

დანარჩენი შეხვედრების ტექნიკური ანგარიში ასეთია: ჭაბუკები: აჭარა-ქუთაისი — 3:1; გოგონები: „ლოკომოტივი“ (თბილისი)-ბორჯომი — 3:0; თბილისის გან. განყოფილება-აჭარა — 3:0; აფხაზეთი-ქუთაისი — 3:0.

**ლ. თუშიშვილი**



უკანასკნელ წლებში საკმაოდ ამაღლდა გორის ჭაბუკ ფრენბურთელთა ტექნიკური დონე. ახლა ისინი შესანიშნავად თამაშობენ როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში და ხშირად სასურველ შედეგსაც აღწევენ.

* * *

სურათზე: აფხაზეთისა და გორის გუნდების შეხვედრის ერთი მომენტი.
ფოტო მ. ზარგარიანისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უსამართლო გადაწყვეტილება

ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ათეული წლების მანძილზე მტკიცე ადგილი ეკავა შეჯიბრებებს თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგმა სესიამ, რომელიც გასული წლის სექტემბერში მიმდინარეობდა სოფიაში, რატომღაც მიიღო უსამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციას ავალებს 1964 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანოს ჭიდაობის მხოლოდ ერთი სახეობა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ამგვარმა გადაწყვეტილებამ სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია საბჭოთა კავშირის, თურქეთის, უნგრეთის, ირანისა და მთელი რიგ სხვა ქვეყნების სპორტულ საზოგადოებრიობაში. მათი აზრით ეს უსამართლო გადაწყვეტილება აფერხებს სპორტის ამ უძველეს სახეობათა შემდგომ განვითარებას. ჭიდაობის ორივე სტილს აქვს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია, თავისებური დამახასიათებელი თვისებები, განსხვავებული ტექნიკა, ტაქტიკა და სხვ. ამიტომ აღნიშნული ქვეყნების სპორტის მოყვარულებმა, რომლებსაც არასამართლიანად მიაჩნიათ XVIII ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობის ამოღება, თხოვნით მიმართეს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს უარყოს თავისი წინადადება. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრეს აგრეთვე ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის წევრმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. კატულინმა და კლასიკური ჭიდაობის საკავშირო სექციისა და მწვრთნელთა საბჭოს წევრმა ა. ნოვიკოვმა.



საფრანგეთში სტუმრად იმყოფებოდა სტალინგრადის „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდი. დიდი ანგარიშით (8:0) გაიმარჯვეს სტალინგრადელებმა პარიზის გარეუბნის სენტ-უენის „რედ-სტარის" ფეხბურთელებთან.

* * *

სურათზე: ამ თამაშის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ინტერკონტინენტალისა.

## მოძმე რესპუბლიკებში

## რასაც ვერ ხედავს

## მაყურებელი

ყოველ დილით საინტერესო სანახაობას წარმოადგენს ი. ფრანკოს სახელობის კიევის თეატრის ფოიე და სხვა დარბაზები, სადაც მსახიობები ვარჯიშობენ მხატვრულ ტანვარჯიშში, ფრენბურთსა და სპორტის სხვა სახეობაში. აქ მთელი წლის განმავლობაში მუშაობენ ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, საერთო ფიზმომზადების სექციები, ხოლო ზამთრობით საქმიანობაში ებმებიან მოთხილამურეთა და მოციგურავეთა ჯგუფები. ჰყავთ შესანიშნავი ჩოგბურთელები და მოფარიკავეებიც. უკრაინის დამსახურებულ არტისტ ა. ომელჩუკს ყველა იცნობს, როგორც „დამსახურებულ ჩოგბურთელს", რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. პონომარენკო და დამსახურებული არტისტი ო. კუსენკო ულიერესი მაგიდის ჩოგბურთელები არიან.

„ბურევესტნიკის" ცენტრალურმა საბჭომ ამ თეატრის ფიზკულტურული კოლექტივი საუკეთესოდ სცნო და საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

## ბაქოელებსაც ექნებათ

აქამდე ჰოკეისტთა შეჯიბრებასა და ციგურებით ფიგურულ სრიალს ბაქოელები მხოლოდ ეკრანზე თუ ხედავდნენ, რადგან თბილი, მცირეთოვლიანი ზამთარი სპორტის ამ სახეობათა მოყვარულებს საშუალებას არ აძლევდა ევარჯიშათ. ახლა აზერბაიჯანის დედაქალაქში, ჩერნოგორის ქუჩაზე მდებარე პარკში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საზაფხულო საციგურაო მშენებლობა, რომელზედაც მოეწყობა ხელოვნური ყინულის მოედანი 30X60 მეტრის ფართობით. მაყურებლისათვის შენდება დასვენების ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტსმენების განკარგულებაში იქნება შხაპები, გასახდელები, ექიმის კაბინეტი და სხვ.

## ახალ სპეციალობაზე

სპორტის ოსტატმა ი. ტიტოვმა, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ თამაშობდა კალათბურთს, სპეციალობა გამოიცვალა. როგორც საუკეთესო მხატვარმა, თავის თემად სპორტი აირჩია და არა ერთი შესანიშნავი ნაწარმოები შექმნა, რომლებშიც საქმის ცოდნითაა გადმოცემული სპორტული ბრძოლის დაძაბული მომენტები. მის მიერ შექმნილ სურათებს ახასიათებს მახვილი სიუჟეტი, ლაკონურობა, დინამიურობა, სალებავების ფერთა შესანიშნავი შერჩევა.

ამჟამად მხატვარი მუშაობს სურათზე „ფინიშთან", რომელსაც ამზადებს მხატვართა საკავშირო გამოფენისათვის.

# აშუღის კუთხე

1956 წლის 7 მარტს, ხელოვნების მუშაკთა სახლში, ძველი აშუღის — გარუნ თბილელის 50 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავ საღამოზე, პოეტმა-აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა შესავალ სიტყვაში განაცხადა: „ძველი აშუღების ფარდა ამ პიროვნებით დაიხურებაო".

სხვადასხვა კულტურულ - საგანმანათლებლო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა, კერძოდ, სურენ ავჩიანმა, გიგო ხეჩუაშვილმა, შაქრო ნავთლუღელმა და სხვებმა ვრცლად აღწერეს დოლის, დაირისა და საზის დამკვრელ - მომღერალის, აშუღური ანსამბლების მონაწილის, სასიმღერო ლექსების — „საქართველოს შვილი ვარ", „კოლმეურნე", „მუშავ", „ტურფავ", „ვმღერივარ" და სხვათა ავტორის, გარუნ თბილელის ნაყოფიერი მოღვაწეობა და ხანდაზმულ-ნამაგდარს გულწრფელად უსურვეს კიდევ ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომა.



71 წლის მარტინ სტეფანეს-ძე გარუნოვს თავისი ხელობისათვის ჯერაც არ მიუნებებია თავი და კვლავ მოუხმობს საჭიდაო სარბიელისაკენ ქართულ მოჭიდავეთა ვინ იცის უკვე მერამდენე თაობას ომახიანი, მგზნებარე დოლისცემით.

აღმოსავლეთის მემუსიკეთა ამქარში 1905 წლიდან ჩაბმული მედოლე გარუნა ძალიან ხშირად იყო მეზურნეთა იმ ანსამბლებში, რომელნიც ქართული ჭიდაობის ჰანგებს ნაირფრად ავარაყებდნენ და ძველ ფალავნებს — კულა გლდანელს, ნესტორ ესებუას, თედო ლილოელს, იოსებ ცერაძეს, კოსტა მაისურაძეს, შაშო ვერელს, მიხა ქურხულს, ირაკლი კახელსა და სხვებს პატრიოტულად ალაგზნებდნენ, რომ უცხოეთიდან ჩამოსული გოლიათებისათვის მათ ჩვენი სირცხვილი არ გაეტანებინათ.

გარდა მუსიკოს-დამკვრელისა, გ. თბილელი უკვე ლა ამ გარდასული ამბების „მემატიანეცაა"

ამ ამბების მაუწყებელ აფიშათაგან ყველაზე უფრო საინტერესოა 1914 წლის 13 ავლისისა, რომლითაც ვიგებთ, რომ ამ დღეს, დიდუბეში, გრიშას ბაღის მახლობლად, ნესტორ გაბუნია ხაჭიდაოდ ითხოვს კულა გლდანელს. ამავე აფიშაში ჩამოთვლილნი არიან გ. ჯიბგირი (ოდიშვილი), ნ. ბუზარიაშვილი, ბ. როსტიაშვილი, ზ. ფანოზაშვილი, ქოჩორა მუხრანელი და სხვანი, ხოლო ბოლოში მიბეჭდილია, რომ ჭიდაობის დროს დაუკრავენ მარტია, სრაპიონა და სანდრუა.

ასეთ ექსპონატებს გულდასმით აგროვებდა გარუნ თბილელი, რომელიც უშუალო მოწმე იყო თბილისში, ბაქოში, ერევანში, განჯაში, კავკავსა და როსტოვში ჩატარებული შეხვედრებისა, სადაც დამკვრელები მოჭიდავეებს ახლდნენ თან.

ამიტომ არის, რომ გარუნ თბილელს ძველ ქართულ მოჭიდავეებზე მნიშვნელოვანი მასალები მოეპოვება და ახალგაზრდობას ხშირად მოუთხრობს ხოლმე საინტერესო ამბებს.

„ძია გარუნას" თავის ბინაში გამოყოფილი აქვს კუთხე, სადაც თაროებზე სათანადოდ აღწერილ-დანომრილი მრავალნაირი წიგნები აქვს ჩამწკრივებული. აქვე კედლები მოფენილია სურათებით, რომელთა შორის, გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად, ნახავთ სხვადასხვა ხელოსანთა ამქრებისა და ქართული ჭიდაობის ძველი ფალავნების სურათებს.

ამას წინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა საქართველოს ფილარმონიის მუშაკი, მედოლე გარუნ თბილელი ქართული ჭიდაობის ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი მომსახურებისათვის სიგელით დააჯილდოვა.

**მ. ხერხეულიძე.**

# კიდევ ერთი აღმოჩენა მძლეოსნობაში

სულ უფროდაუფრო ძნელი ხდება მძლეოსნობაში უკვე არსებული მაღალი შედეგების მიღწევა. ეს გარემოება აიძულებს მძლეოსნებსა და მათ ერთგულ მეგობრებს — მწვრთნელებს ახალ-ახალი გზები და საშუალებები ეძიონ მაღალი შედეგების გამეორებისა და გაუმჯობესებისათვის.

ერთ-ერთი უკანასკნელი „სიახლეა" ბეტონის გასარბენი ბილიკი ჰოკით ხტომისათვის. იგი გამოიყენეს ათენში ბერძენმა მწვრთნელმა ოტო შიმიჩეკმა და მისმა აღზრდილმა ევროპის რეკორდსმენმა — გიორგი რუბანისმა.

მრავალი ცდის შემდეგ შიმიჩეკი და რუბანისი დარწმუნდნენ, რომ ბეტონის ბილიკზე სქელძირიანი ფეხსაცმლის გამოყენებით შეიძლება კარგი შედეგების მიღწევა, რადგან ასეთ პირობებში სპორტსმენი უდიდეს სიჩქარეს ანვითარებს გარბენის პროცესში და ამასთან, ენერგიას მაქსიმალურად ზოგავს.



ნახატი-ხუმრობა ა. ერაძისა.

# ძალოსანთა კონკურსზე

სამტრედიაში გაიმართა სოფლის ძალოსანთა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდა 22 სპორტსმენი. პროგრამაში იყო შეჯიბრება ორფუთიანი საწონებითა და შტანგით. მჩატე წონაში გამარჯვებული გამოვიდა მ. ბიჩინაშვილი, საშუალო წონაში — მ. კახაძე, მძიმე წონაში — ვ. კვარაცხელია (ყველა ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმიდან), მსუბუქ წონაში ყველას აჯობა კულაშის ტექნიკუმის მოსწავლემ გ. ბერძენიშვილმა.

**ი. სტურუა**

# მეორე კონფერენცია

გურჯაანში გაიმართა დოსააფის რაიონული ორგანიზაციის მეორე კონფერენცია, რომელზეც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კომიტეტის თავმჯდომარე გ. უტიაშვილი.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა რ. ქათამაშვილმა, მ. ციციშვილმა, ი. ქრისტესიაშვილმა და სხვებმა ილაპარაკეს დოსააფის რაიონული კომიტეტის მიერ ჩატარებულ მუშაობაში არსებული მიღწევისა და ნაკლოვანებების შესახებ.

კონფერენციამ აირჩია რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა და მეორე რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატები.

**თ. გოგოლაძე**

# ახალგაზრდა მხატვართა კლუბში

დღეიდან „ლელო" სპეციალურ კუთხეს უთმობს ახალგაზრდა დამწყებ მხატვართა ნაწარმოებებს, რომლებიც პერიოდულად გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

რედაქცია მოუხმობს ხელოვანთ ახალგაზრდა კადრებს — აქტიური მონაწილეობა მიიღონ „ახალგაზრდა მხატვართა კუთხეში", სისტემატურად გამოაგზავნონ სპორტული თემისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები, რომლებშიც ნებისმიერი კუთხით და ჟანრით წარმოსდგება და აისახება ჩვენი სპორტული ცხოვრება.

**რედაქტორი ი. უზულავა**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-31, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.
უე 00209